

ფონოლოგიური გადამუშავების მრავალმხრივი ტესტის
(CTOPP-2) თარგმანი და ადაპტირება ქართულ პოპულაციაზე

სოფიო ნადირაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ხვადაგიანი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ნადირაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ფონოლოგიური გადამუშავების მრავალმხრივი ტესტის CTOPP-2-ის თარგმნა და ადაპტირება ქართულენოვან სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე. ასევე, სამი ფონოლოგიური უნარის (ფონოლოგიური ცნობიერება, ფონოლოგიური მეხსიერება და სწრაფი დამახსოვრება) გამოკვლევა. კვლევა კონკრეტულ ასაკობრივ სეგმენტში დისლექსიის ნიშნების ადრეულ ფაზაზე გავლენის საშუალებას მოგვცემს, ეს კი თავისმხრივ გაადვილებს დიაგნოსტიკას და ხელს შოუწყობს დროული ინტერვენციის დაგეგმვას. საკვლევ მეთოდად, თავად ინსტრუმენტის გამოყენებით ექსპერიმენტული კვლევის ჩატარება შეირჩა, რათა განგვესაზღვრა ადაპტირების წარმატებულობის ხარისხი, დაკვირვებოდით ინსტრუმენტს სამუშაო პროცესში და შეგვეფასებინა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

კვლევამ გვიჩვენა ენობრივი თავისებურებებით განპირობებული სირთულეები და ასევე დაგვანახა ტესტის სტანდარტიზაციის და ფართომასშტაბიანი კვლევითი პროექტის დაგეგმვის აუცილებლობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: CTOPP-2, ფონოლოგიური მეხსიერება, ფონოლოგიური ცნობიერება, სწრაფი სახელდება, სკრინინგი

Abstract

The main aim of these Master thesis is translation and adaptation of comprehensive test of phonological processing –2 for Georgian preschool aged children. Although, observation and research of three phonological processes :phonological awareness, phonological memory and rapid naming. This research gives possibility to identify signs of dyslexia specifically in early age, which will be an asset for assesment and support for intervention plan later. As a research method is chosen experimental research through this test itself, in case to determine success of the test adaptation, to observe test in working process and asses its strengths and weaknesses.

The research showed challenges and difficulties due to language characteristics and also pointed out the need of test standardization and wide scale research in the future.

Key Words: school literature, discourse analysis.